

ლოქსნოში

გაზეთი გამოდის
1988 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№47 (6423)

18 აპრილი

ხუთშაბათი

1991 წელი ფასი 5 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

პირველი სესიის საგანგებო სხდომა

14 აპრილს გაიმართა საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა, რომელიც გახსნა მისმა თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ ილაპარაკა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აკაკი ასათიანმა. მან თქვა, თუ რაოდენ საჭიროა ამ თანამდებობის დაუყოვნებლივ შემოღება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ამ ეტაპზე განსაკუთრებით საჭიროა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვადეს პრეზიდენტი, რომელსაც უდიდესი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა ეკისრება ხალხის წინაშე სახელმწიფოს საქმის ვითარებისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს ჯონი ხეცტრიანს, რომელმაც წარმოადგინა კანონპროექტი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. აზრთა გაზიარებაში მონაწილეობდნენ დეპუტატები აკაკი ბობოხიძე, აპოლონ სილაგაძე, მინდია სალუქვაძე, დავით კუპრეიშვილი, გიორგი გოგუაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, თედო ნინიძე, ელდარ შენგელია, აკაკი ასათიანი, ნოდარ ნათაძე, რამაზ სურმანიძე, ალექსანდრე ქობულაშვილი, ლევან ალექსიძე, რომან გოციჩიძე, ალექსანდრე

შუშანაშვილი, თეიმურაზ ქორიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ბაკურ გულუა, გელა ჩორგოლაშვილი, თედო პატაშვილი და სხვები.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებისა და ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის საკითხზე ილაპარაკა ბატონმა აკაკი ასათიანმა. „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით მან ამ თანამდებობაზე დაასახელა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას კანდიდატურა.

სხვა კანდიდატურები არ დაუსახელებიათ, ღია კენჭისყრით უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ერთხმად აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ტაშის გრილში ტრიბუნაზე ავიდა ბატონი ზვიად გამსახურდია, მან მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, აღუთქვა დამსწრეთ, რომ ძალღონეს არ დაიშურებს ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების—სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისაღწევად. ამის შემდეგ, კანონის თანახმად სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის შესახებ კანონპროექტი დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ტარიელ კულაშვილმა. წარმოდგენილი კანონის პროექტის თაობაზე შენიშვნებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები აკაკი ასათიანი, ირაკლი ნელაშვილი, ბიძინა აფრასიძე, საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ჭირაქაძე, დეპუტატები ნუგზარ მოლოდინაშვილი, ლოვარდ ტუხაშვილი და სხვები.

უზენაესმა საბჭომ პირველი წაკითხვით მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის კანონი, რომლის თანახმად 1991 წლის 26 მაისს გაიმართება პრეზიდენტის პირველი საყოველთაო არჩევნები ფართული კენჭისყრით თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. მიღებულია დადგენილება ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, და მისი სახით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთელ ქართველ ხალხს მიესალმა უნგრეთის პარლამენტის წევრი ტომაზ ტირჩი.

სხდომის დამთავრების შემდეგ ქალაქ თბილისის პრეფექტმა ირაკლი ანდრიაძემ დეპუტატები, სესიაზე მყოფი სტუმრები მიიწვია შოთა რუსთაველის ძეგლისა და კონსტანტინე გამსახურდიას მემორიალის გახსნაზე.

საქმედოგზის საპარლამენტო კორასპონდენტები

საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად
არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
არჩეულ ოქნეს ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.
თბილისი, 1991 წლის 14 აპრილი.

ზვიად გამსახურდია

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ქართული კულტურის, რუსთაველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შრატალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია როგორც პოეტი და ესსეისტი, გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავარაქების კრებულები, ავტორია მრავალმხრივი ლიტერატურისმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ, ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, რისთვისაც ჯერ კიდევ ჩვიდწეტი წლის ახალგაზრდა დაპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70

იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა არაოფიციალურმა ჟურნალებმა „ოქროს საწმისმა“, „საქართველოს მოამბემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს პელსანკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმარტელი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია რეპრესირებული იყო, პოლიტიკური მიღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვის საპატიმროებში და გადასახლებული იყო კასპისპირეთში.

1990 წლის ნოემბერში ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

მინდვრად მხოლოდ

ტრაქტორები

სულ ერთი კვირა, რაც ტრაქტორები ხენას შეუღწენ წიფრის კოლმეურნეობაში. სამარცლევ სიმინდისათვის აქ 65 ჰექტარია დასახნავი.

ჯერჯერობით 3 ტრაქტორი მუშაობს და 15 ჰექტარია დახნული. მართალია, ტრაქტორისტები ავთანდილ მეიფარიანი, ჭიმურ და ოთარ ფუტყარაძეები მონდომებით შრომობენ, მაგრამ მარტო მათი მონდომება ვერ უშველის

საქმეს, ყოველი დღე დაიბაბულია და გაჭირვებაა საწვავზე, ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებზე. საჭიროა ამ მნიშვნელოვან საქმეში აქტიურად იქნას გამოყენებული მუშა გამწვევი ძალა, ჯერჯერობით კი ამ ძალის გამოყენება არ იგრძნობა, არადა დრო მიდის. საერთო რაოდენობიდან 30-35 ჰექტარი მუშა გამწვევი ძალით თუ არ დაიხსნა, ტრაქტორი ვერ დახნავს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ჩაგაჩაგის თაილის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფართული კენჭისყრით 1991 წლის 26 მაისს.

დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის ჩატარება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ასათიანი.
თბილისი, 1991 წლის 14 აპრილი.

გულისთქმა

გულისთქმა

უკანასკნელი

შპან ღარაჲა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთულესი ეტაპი, რომელიც ქართველმა ერმა განაახლა 1921 წლის 25 თებერვლის ოქუბაციის შემდეგ—უკვე ახალი დამყრობელის—ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ და მანლოგიურად დაასრულა 1991 წლის 9 აპრილს. იურიდიულად (დე-იურე) აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

ეროვნული მოძრაობის ეს ეტაპი გამოირჩეოდა თავგანწირვით, შეუვალობით, ჭეშმარიტ ქართულ მამულიშვილთა სიმტკიცით, რომლებმაც უსასტიკეს ლაბირინთებში სასოციალურ გამოძარცვას ოდინდელი ოცნება ქართველთათვისუფლება, არ მინავლებულა ცეცხლი ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის სამკედლოში, ერთნი ეცემოდნენ ამ შეტბად საპატიო და მძიმე ბრძოლაში, მაგრამ ახალ თაობებს მტკიცედ ეპირად ხელში გორგასლიან-დავითიან-თამარიანი დროშა. უსასტიკესი რეჟიმი, მკაცრი იატაკქვეშეთი, შერეული საკონცერტაციო ბანაკები, მასობრივი ტერორი იყო იმ ამაყ ქართველთა ხვედრი, რომლებიც ჩვენს წინა რიგებში იდგნენ. იდგნენ და იცოდნენ სამშობლოს წინაშე თავიანთი კაცური ვალი, იდგნენ და იცოდნენ სახელოვან წინაპართა გზის განგრძობა, იცოდნენ ჭეშმარიტად ქრისტიანული მსახურება ღვთისადნო, მოყვასისადმი, იცოდნენ სიყვარულის, სათნოების ცხოველყოფელი ძალა.

„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად, მაშინ ნამუსის ქული გავთელო,

ჩემი სამშობლო ზეცაა თავად, შემდეგ ეს მიწა და საქართველო!“

ბოლოლის

ბრძანებს ერთგან სულგანათლებული ეროვნული გმირი ჩვენი—მერაბ კოსტავა, ეს იყო მათი თაობის, იმის იქითა თაობების მრწამსი, რაოდენობრივად ცოტაანი, მაგრამ სულით უსაზღვროდ ამაღლებულნი ღირსეულად, წაუჩოქებლად ეწეოდნენ მამულის მძიმე უღელს.

მათი ასეთი ტიტანური მუშაკობის შედეგია სწორედ 1991 წლის 9 აპრილი, მათი დღევანდელი თანამებრძოლების დამსახურება, სამგლოვიარო დღეს სიხარულის ცრემლიც რომ აღინეს საქართველოს. ჰუმანიზმის მწვერვალზე უნდა იდგე, ეროვნული ტრადიციის დღე მამავე დროს ეროვნულ დღესასწაულად აქციო. იმ ერის დამოკლება შეუძლებელია, რომლის შვილებს ასეთი აღდგომა ხელეწიგნებათ. 1989 წლის 9 აპრილს თავისუფლების მოთხოვნისათვის დედები, დები და ძმები დაგვიჩვენეს, ძარღვებში სისხლი გაგვიყინეს, 1991 წლის 9 აპრილს კი თავისუფლება იდგა. ეს ორი თარიღი თავის ძლევაშისილებით ყველა დიდი ერის ისტორიაში უპირველეს და უმნიშვნელოვანეს აღვლის დღიკავდება, ყველას ისტორიას დაამშვენებდა.

დღეს ჩვენი თაობა, ჭეშმარიტი მემკვიდრე გმირ წინაპართა და ამავე დროს უკანასკნელი პერიოდის ბრძოლების მონაწილე, თავის ნაცად უფროს თანაებრძოლებთან ერთად დღეს ბრძოლის დასკვნითი, გადამწყვეტი ეტაპის ბრძულობას, რომელიც 9 აპრილს, დღის 12 საათზე დაიწყო, იურიდიულად მოპოვებულ თავისუფლებას ფაქტიური (დე-ფაქტო) დაცვა და რეალიზაცია სჭირდება.

ია სჭირდება, ამ ძნელებდობის ეამს გემართებს სწორედ უდიდესი სიმტკიცე.

ასალეგალ

ისა და გონიერების გამოჩენა, ჯერი ჩვენზეა, ჩვენც უნდა ავწიოთ საქართველოს სეფე-დროშა, თითოეული ქართველი გაბედულად უნდა შევიდეს ბრძოლის ქარცეცხლში და იქ უნდა მოხდეს გამთლიანება სრულიად საქართველოსი, ჩვენც იმ გორის შვილები ვართ, ვისი გორისაც იყვნენ ნეტარსენებული წინაპრები ჩვენი ნოყოლებული ქართლოსიდან ეიღრე მერაბ კოსტავამდე, სამაჩაბლოში დაღუპულ გმირებამდე. მათი შერცხვენის უფლება კი დღეს არცერთ ქართველს არა აქვს. დღევანდელი თაობის ტეცხლი სჭირდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამკედლოს, რათა საბოლოოდ განთავისუფლდეს სამშობლო ჩვენი—საქართველო, რომ ნომავალმა თაობებმა მხოლოდ აღმშენებლობის გზით იაროს და დალოცოს წინაპარი მისი გაწეული ღვაწლისათვის.

წინ დიდი და ნიმიე გზაა, ტაძრისკენ მიმავალი უკანასკნელი შეღმართის ავლაში ჩვენი მხრების ძალა და გულების სიმტკიცეა საქმით, დიდი ზნეობაა საქმით, ქაჯეთის ჯიქურად მიმხედურებს შეგვეწევა ღვთისმშობლის მადლი—შეგვეწევა და განთავისუფლება საქართველო. უკვე შეგუდექით უკანასკნელი გოდოლის აღებას, გვფარადეს ღმერთი!

მ. ბარუჩაშვილი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი.

რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციაა რესპუბლიკაში, ფასების ზრდამ მიუტემა მოთქმა გამოიწვია, შეშინდა ხალხი, მთლიანად დაიცალა დაზღვები, აღარც სამრეწველო საქონელი და აღარც სასურსათო ყველა სეგმენტო ობიექტში აფასება ჯერ არ დაითავსებულა.

ამიტომ ვთხოვეთ რაიკომიტეტის ატივის გაჭრობის განყოფილების გამგეს გენურ ქარსელაძეს, ფასების ეკონომისტს გივი ქომეთიანს და საკონტროლო სარევიზიო ჯგუფის თავმჯდომარეს ელგუჯა

გალიზიანებელი ადამიანების და რწმუნება, მაგრამ ასეა ჯერჯერობით, ვირთ საბოლოოდ არ გამოვსულა, მთლიანად დაიცალა იდან—დღეს მთლიანად დაიცალა აქვე გათვასონი რაიკომიტეტის საკონტროლო ფასის განსაკუთრებით რომ აინტერესებს მკითხველს და რომელთა ფასი დაიდგენილია:

პურის ფქვილი უმაღლესი ხარისხის (1 კილოგრამი)—1,40 მანეთი, თეთრი—94 კაპიკი, რუხი—82 კაპიკი, შავი—70 კაპიკი.

ფასები, ფასები

იველი კარბია,

მ ა გ რ ა მ...

გუგავას ინფორმაცია სავაჭრო ქსელში არსებულ მდგომარეობაზე, ნოსალოდნელ პროვინსზე, ფასებზე, მიმდინარე კვარტალის ფონდებისა და მათი ათვისების თაობაზე.

აი, რა თქვეს მათ: ოპტიმიზმს არ გვარგავთ, მაგრამ ამჯერად დიდი იმედებიც რომ ნივცეთ ხალხს, მოვატყუებთ. აქცენტი, ბუნებრივია, გადაგვქვს პირველადი მოხმარების პროდუქტებზე. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ზაქრის ფონდი კიდეც შემცირდა. აპრილში განაწილება დაახლოებით 0,5 კილოგრამია ერთ სულზე. კარაქი, სამწუხაროდ, არ გვექნება. საბიუჯეტო ორგანიზაციების დაკმაყოფილებაც გაგვიჭირდება.

რაიკომიტეტის ხელმძღვანელობა მაქსიმუმს აკეთებს, რომ არ შემოგვავლდეს გამოცხვარი პური და, ვფიქრობთ, ასეც იქნება. კი, მართალია, ჩვენ სარეალიზაციოდ ან კვარტალში 460 ტონა ფქვილი გვაქვს გამოყიდვით, მაგრამ ფიზიკურად არ არის, რომ შენოვიტანოთ. მოწოდება ჯერჯერობით მხოლოდ ცხობაზე გვაქვს.

ლენხუმელ მშრონელებს კარგად ესმით, რომ რესპუბლიკაში ფაქტობრივად საოხარი მოქმედებაა, ამას ემატება რეკინიგელთა გაფიცვაც, ფაქტიურად არანაირი ტვირთი აღარ შემოდის, ასეც არ იყოს, დღეს საქართველო ვერ იქნება მოწოდების იმედზე. ამიტომ ყოველგვარი პანიკის გარეშე უნდა ეკონომიურად ვხსრჯოთ პური, სხვა პროდუქტები. ვიმეორებ, რომ შევძლებთ გამომცხვარი პური არ შემოგვავლდეს. რაც შეეხება სამრეწველო საქონელს რესპუბლიკის ბაზებზე შემოვიარეთ, მაგრამ არაფერია ჯერჯერობით.

ჩვენ წლის დასაწყისში დავდეთ ხელშეკრულება საკავშირო შუამავალ ფირმა „კონეკოსთან“, (მოსკოვი), რომელიც 1 გაგრანმა, დე სამრეწველო საქონელს, ანდენივე ხე-ტყეს, მინას, სხვა საქონელს შეგვიპირდა. ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობის მიხედვით გაუგზავნით სანაცვლო პროდუქტის, მაგალითად, ხილის წვეწებს და სხვა პროდუქტის. ამაზე შეთანხმებული ვართ ცეკეშირთან. მაგრამ დაძაბული სიტუაციის გამო ამ ტვირთის შემოტანაც შეუძლებელია ჯერჯერობით.

გვინდა სჯეროდეს ჩვენს ნომხმარებელს, რომ ჩვენთვისაც უმძიმესია ფასების სიძვირე, ფაქტიურად გამყიდველისა და დაზღვების ანარა დარჩენილი მალაზიები,

ხორცი (კილოგრამი)—12 მანეთი (ფონდირებული) ყველი (ქართული)—7,50 მანეთი (ფონდირებული) სულგუნი—8 მანეთი (ფონდირებული)

იმერული ყველი—6 მანეთი ღორის ხორცი (1 კატეგორიის)—8 მანეთი კარაქი (იმპორტული წარმოების)—10 მანეთი ჩვენი წარმოების უმარილო უმაღლესი ხარისხის—10 მანეთი —1 ხარისხის—9,50 მანეთი ზეთი მწესუმწირის (პირველი ხარისხის კილოგრამი) 2,70 მანეთი მარალი (ფუნდის) (დაფქვა № 0) —14 კაპიკი, (კილოგრამი) დაფქვა № 1—10 კაპიკი, ექსტრა (დაფასებული)—35 კაპიკი.

საოჯახო საპონი 72%—55 კაპიკი. 65%—45 კაპიკი. შაქარი (ფუნდის)—2 მანეთი იგივე შაქარი დაფასებული—2—20 მანეთი. შაქარი რაფინირებული—2.20 მანეთი. დაფასებული—2.30. ნატეხი—2—40. მარგარინი (1 კილოგრამი)—3 მანეთი.

გამომცხვარი პური პირველი ხარისხის თეთრი პური—76 კაპ. (კგ). რუხი პური—60 კაპიკი ცხევილი (შავი პური)—18 კაპიკი. ლავაში (860 გრამი)—1.20 მანეთი. შანის ბურღული (კილოგრამი)—1.50 მანეთი.

ბრინჯი პირველი ხარისხის (კილოგრამი)—2.20 მეორე ხარისხის—2 მანეთი მაკარონი (კილოგრამი)—1,30 მანეთი.

ვერმიშელი—1.70 მანეთი. არაყის ფასი გაიზარდა 1,8-ჯერ ანალოგიურად გაიზარდა რძის და რძის პროდუქტების ფასები.

იქნება გაჭირვება შაბიამანზე. 1 კილოგრამის ფასი—მანეთი და 56 კაპიკი. ამ დროს რაიონის მთელი წლის ფონდია. 80 ტონა, რაც სანახევროდაც არაა საქმარისი. თანაც ფონდის დიდი ნაწილი შესამენოთხე კვარტალშია გათვალისწინებული (!?) და ცვდილობთ. რომ ეს ვადა აქეთ გდმთავროთ.

თევზის გაზრდილი ოფიციალური ფასები ნივილეტ, მაგრამ საქმის განსავთ, რომ ბაზებში იმისდა მიხედვით ზრდიან ფასებს, თუ რა უჯდებათ შემოტანა და გვთვალისწინებული (?!?) და ცვდილობთ. რომ ეს ვადა აქეთ გდმთავროთ.

„გვედრი

ლაიფსაკე

პაეული

ჩაეი“

ლის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე...

„კარგახანს ეძინა სოფელს—ბრძოლებით დაღლილს, ტივილებისაგან დატანჯულს, დაბეჩავებულის. დიდხანს წკრიალებდნენ ზარები. ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“... ქართველი კი თითქმის, ბედს შერიგებული, დროს ელოდა.

„და როდის, როდის გაისმა სოფელში—რამდენ ხანს მძინებიაო“...

გაიღვია ქართველმა ერმა, იგრძნო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ღმერთი არ გაწირავდა. ასეც მოხდა. ყველა გავეუბლით, ყველას გავეუბარდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა... შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, სისხლში ამოვლებული ქართული ეროვნული

დოს სტრიქონებს:

„დაუტარიო, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს, გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს! გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას, საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!“

„ყივის დაჭრილი მზე თრიალეთზე“—თურმე ორი წელი გასულა.

მზემ ამოხეთქა მიწიდან თქვენი ძვირფასი სახელები ეკა, ნათია, თამუნა, გია...

ცრემლით დაინაბა თქვენი წმინდა საფლავები... ახლა გაზაფხულს გულში ჩაკონებული ყვავილები მოგილოცავენ და მოგეფერებინან...

თქვენი უმანკოდ შეწირული სიცოცხლე გახდა მტკიცე საძირკველი ერის მთლიანობისა. იმ


ლებისთვის უბედნიერესი დღე. აქამდე ჩაგუბებული ცრემლი გაბრწყინდა, ტაძრისკენ მიმავალი წმინდა გზაც გამოჩნდა, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

9 აპრილი—ჩვენი სევდისა და მწუხარების, გლოვისა და ბედნიერების, ამაღლებისა და აღორძინების, ძლიერების და თავისუფლების დღე. ჩემი სამშობლო, საქართველო, დღეს მიცრცხლებია!

ილორძინე, ჩემო საფიცარო საქართველო! მალამოდ ვამკევი შენს უკიდევანო ნაღველს... დედაო ღვთისავ,

„გვედრი, დაიფარე მამული ჩემი!“

ნათია ჩიკოვანი, ცაგერის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.



რამდენიმე წლის წინ საერთაშორისო ორგანიზაცია იუნესკომ დაარსდა ძველი დაცვის საერთაშორისო დღე — 18 აპრილი. და დაიწყო ამ დღეზე ქუჩების გაწმენდა. დასაინათ, რომ დღემდე ამ ქუჩაში ვერ მოხვდა საქართველოს რომელიმე ძველი. უძველესი ძეგლების სიმდიდრითა და მნიშვნელობით საყოველთაოდ ცნობილია: ძველი ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი და ბევრი სხვა ქვეყანა. მათ შორის საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი კულტურის ძეგლებს საერთაშორისო პრემიასთან სუსტად ეწევა საპატიო ადგილი უკავია.

15 წლის წინ საქართველოში აღრიცხული იყო 5000-მდე ისტორიული ძეგლი. რესპუბლიკაში ძეგლთა პასპორტიზაციის ჩატარების შემდეგ ამ რიცხვმა 20.000 გადაჭარბა. ამათგან ბევრის მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს სცილდება. გარდა ამისა საქართველოში ბუნების ბევრი იშვიათი ძეგლია.

ჩვენს რაიონში ძეგლთა პასპორტიზაციის დროს აღრიცხულ

და შესწავლილ იქნა 100-ზე მეტი ისტორიისა და კულტურის ძეგლი. მათ შორის ჩვენს მხარეში აღსანიშნავი არქიტექტურული ძეგლებია პირველი საეკლესიო ნაგებობანი: თაბორის ციხე-ეკლესია (მე-6 საუკუნე), გვესოს სამეკლესიანი სალოცავი — ნაგებობა (მე-7, მე-8 საუკუნეები). შუასაუკუნეების გონის დარბაზოვანი ბაზილიკა, ლაილასის, ნაქურალეშის და ცხეთის ეკლესიები, ორბელის მურის, დეხვირის, უწვამის ციხეთა კომპლექსები, ქორენიშის, ზუბის, ისუნდრის ციხეები და სხვა.

ბოლო ათწლეულში საქართველოში აღდგენილი და რესტავრირებული იქნა ბევრი დიდმნიშვნელობის კულტურის ძეგლი — მათ შორისაა ცხეთისა და ნაკურალეშის ეკლესიები. რესტავრაციისათვის მომზად-

ბულია ნახაზები და ხარჯთაღრიცხვები გვესოს და გონის ეკლესიებზე, მურის და ორბელის ციხეებზე. მურის ციხეზე სამუშაოები დაიწყო, მაგრამ ნაღვეწყდა.

ბევრი სკოლა მოსწავლეობა პატრიოტული აღზრდისათვის

ძალებით და საშუალებებით რომელიმე ძეგლის რესტავრაცია.

რაც შეეხება ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესწავლას და პროპაგანდას, ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით უკეთესია. მოკვლევითი მასალების

ფრესკების ფერადი ფოტოსაღებების გადაღება აუტანადია. რადგან ტენიკა ამის შესაძლებლობა არ აქვს. ეს მით უფრო საჭიროა, რადგან შენობა დაზარალებულია ასევე გვიანდელი ლეჩხუმის ღირსშესანიშნაობებზე ფერადი ალბომის შექმნა, მაგრამ ხელისშეშლა მეტი იყო, ვიდრე ხელშეწყობა. ასეთივე მდგომარეობაშია მურის ციხე-მუზეუმის შექმნის იდეა, ეს ეროვნული საქმეა და ასე მუშაობას ყველა უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ უნდა გაკეთდეს არა კამათით და საქმისნობით, არამედ ურთიერთ თანადგომითა და შრომით.

ჩვენ ბუნებას კიდევ უფრო აღამაზებს მაღალ გორებზე აღმართული კულტურის ძეგლები. ჩვენ შეჩვეულნი ამას ნაკლებად ვგრძნობთ, უცხოელები კი გაოცებული არიან. ძეგლი ყველას საზრუნავია.

„ლეჩხუმის“ როგორია თქვენი აზრი?

სულ ახლო წარსულში ბევრ ჩვენთაგანს შეუშინებია, თუ როგორ იყო გამოყენებული მალღივი შენობები, ხიდები, გზაგამტარები და სხვა ნაგებობანი იდეოლოგიური ლოზუნგებისათვის: „ლიდება სკკ“, „პარტია ჩვენი მესაქეა“, „სსრკ მშვიდობის ბურჯია“ და ა. შ. როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

როგორც ყველასათვის ცნობილია, შარშან დამთავრდა სოფელ ალფან დაბაკეში ბიძის გზაგამტარების მდინარე ცხენისწყალზე. ლეჩხუმში მომავალი მგზავრისთვის ხიდის ნაგებობა აღიქმება საინტერესოდ, იგი აზრებულა იქ, სადაც მთავრდება სარეწელოს უღამაზის კლდეკარი და იქვე იშლება ცაგარის, მისი მიმდებარე სოფლების და ცხენისწყლის ქალის ლანდშაფტის პანორამა. არანაკლები სილამაზით აღიქმება ხიდი ცაგარიდან მიმავალი მგზავრისთვის, სოფელ ლა-

მკლქულუზი გვჩვენებს

რჩვლიდან კლდეკარის დასაწყისამდე ნახევარი კილომეტრის მანძილზე. საინტერესოა ისიც, რომ ცაგარში მომავალი მგზავრი ხიდიდან სულ მოკლე მანძილში უშუალოდ შემოდის ლადო ასათიანის მშობლიურ სოფელ ბარდნალაში. ვინც ბორჯომში ყოფილა, ალბათ შეამჩნევდა ერთ-ერთი სანატორიუმის შენობის თავზე, მწვანე ფერდობის ფონზე გაკეთებულ წარწერას ლადო ასათიანის სტრუქტურებით: „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“. ხომ შეიძლება ხიდის სამაღრი ნაგებობა (სიგრძით 100 მეტრი და სიმაღლით 1,5 მეტრი) დავამშვენოთ ლადო ასათიანის რომელიმე ლექსიდან ამოღებული სიტყვებით? საბედნიეროდ, ლადოს ლექსებში ასეთები უხვადია, როგორც პატრიოტული, ასევე რომანტიკული და არც შერჩევა გავიჭირდება. რამდენიმეს აქვე

ექსკურსია სამხრეთ საქართველოში

28, 29, 30 მარტს ბარდნალის საშუალო სკოლის მე-8 — მე-9 კლასების მოსწავლეებისათვის მოეწყო სანდლიანი ექსკურსია. მოსწავლეებმა ნახეს და დაათვალიერეს რაიონები, ქალაქები და ისტორიული ძეგლები, კერძოდ, წყალტუბო, ქუთაისი, ზესტაფონი, მდინარეების — ყვირილას, ძირულას, რიკოთულას ხეობები, სურამის ქედის კალთები, დაბა სურამი და სურამის ციხე, ხაშური, კურორტი ბორჯომი, ახალციხე, დაბა ასპინძა, კლდეში გამოკვეთილი რამდენიმე საოთხისაგან შემდგარი სამონასტრო ქალაქი ვარძია, ხერთვისის ციხე, ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

დაბა ასპინძაში შეხვედრა მოგვიწევს ასპინძის ბავშვთა სახლის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა, პირველ რიგში დაგვთავაზებდა სასწავლო ოთახები, კაბინეტები, სპეციალური ლაბორატორიები, ხელგარკობის და წრომის, საძინებელი ოთახები. შეხვედრაზე წაიკითხეს ლექსები, შესრუ-

მადლობელი ვარ

მემდინარე წელს სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებაში წარსადგენად მჭირდებოდა სამამულო ომში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები. მიემართე რაიონის სამხედრო კომისიარს შენგელიას, რომელმაც თავაზიანად, გულთბილად მიმიღო, სწრაფად მომიძებნა ყველა ის დოკუმენტი, რაც მესაჭიროებოდა. მადლობის მეტი რა

გვიმბრავლოს

დიდი ხანი არ არის, რაც ცაგარი-ალვის მარშრუტის ავტობუსს მართავს გიორგი ბორისის ძე ქაბუკიანი, მაგრამ უკვე ადრევე მოსახლეობისა და საერთოდ მგზავრების მადლიერება დაიმსახურა. თავაზიანი, უპრეტენზიო ახალგაზრდაა, არასოდეს არღვევს საავტობუსო განრიგს. ყველა ამ სიკეთეს მას მშრომელთა სიყვარული მოუპოვა.

ღმერთმა გვიმბრავლოს ასეთი ახალგაზრდები.

დაე, იშრომონ ხეივანები!

გაზაფხულდა, მწვანდება ბინდორ-ველი, ხეებზე კვირტები დასკდნენ, მზიარულად აედურტულდნენ ჩიტები. სილამაზეში ერთმანეთს ეკიბრებიან ველის ყვავილები, ცხრათვალა მზეს შეპყრია.

ჩქენის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გავასუფთავეთ სკოლის ეზო ეკალბარდისაგან, შემდეგ წავედით ტყეში და მოვიტანეთ ნაძვისა და

კაკლის ნერგები. თავდაპირველად მოიწყინეს პაწაწინა ნაძვებმა და კაკლებმა, რადგან მშობლიურ მიწას მოვაცილეთ, მაგრამ როცა სკოლის ეზოში მიუღწინეთ ადგილი, კვლავ გამოცოცხლდნენ. ხეები ალერსით დაპყრებენ მადლიდან პატარებს, თითქმის ზრუნველობას კისრულობენ.

ამ პატარა საქმის გაკეთებით, ჩვენი წვლილი შევიტანეთ საქართველოს ბუნების დაცვას და აღორძინებაში. დაე, გაიზარდონ მწვანე ნაძვები, იშრომონ კაკლის ხეებმა, დაე, ბედნიერი იყოს საქართველო!

განია ჩაპვებამ,
ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე.

სამინარე ყურაშვილი,
ომისა და შრომის ვეტერანი.
სოფ. ნაკურალეში.

მ. ჩარკვიანი,
ომისა და შრომის ვეტერანი, სოფ. ალვი.

